საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030197174942117

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4389 **25 / იანვარი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (2016 წლის 10 ნოემბერი Nბს-740-732(კ-16)) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა მარიამ ქევხიშვილის სასარგებლოდ საარსებო შემწეობის ანაზღაურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი-35 02 02) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „ვალდებულების კლების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

ასევე, გაცნობებთ, რომ „სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნებისათვის ერთჯერადი გასაცემლის სახით დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის განკარგულებით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა „სოფლის ექიმის“ პროგრამის (პროგრამული კოდი-35 03 03 08) ფარგლებში დაკონტრაქტებული ექიმების და ექთნებისათვის ერჯერადი გასაცემელის გაცემა. აღნიშნული გასაცემელის გადარიცხვა განხორციელდა 2016 წლის ბოლო საოპერაციო დღეს. ექთანმა ნინო მესხმა (ს/კ17001023373) ამ პერიოდისთვის შეიცვალა ანგარიშის ნომერი და მისი კუთვნილი თანხა ვერ გადაირიცხა და დაბრუნდა ვალდებულებაზე (ვალდ.N33857). აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით, საჭიროა „სოფლის ექიმის“ პროგრამის (პროგრამული კოდი-35 03 03 08) ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება და პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „ვალდებულებების კლების“ მუხლი.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

ასევე, დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას სახაზინო ვალდებულებების შესრულების შესახებ (ცნობა N2).

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია